სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის (The Global Fund to Fight AIDS, Tuberculosis and Malaria) მიერ დაფინანსებული „საქართველოში აივ/შიდსის პრევენციის, მკურნალობისა და მოვლის ღონისძიებების გაძლიერება და მდგრადობის უზრუნველყოფა“

„აივ/შიდსის გავრცელების მხრივ მაღალი რისკის ქცევის მქონე ჯგუფში (ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებლები, კომერციული სექს-მუშაკი ქალები) სარისკო ქცევების, აივ ინფექციის, C ვირუსული ჰეპატიტისა და სგგდ პრევალენტობის შესწავლის და პოპულაციის რაოდენობის განსაზღვრის კვლევების“ მომსახურების შესყიდვა

დაფინანსების წყარო:

(გრანტი: GEO-H-NCDC)
(მოდული 6).

(CPV კოდი 85100000)

ერთ ეტაპიანი ელექტრონული ტენდერი

სატენდერო დოკუმენტაცია

ქ. თბილისი
2016 წ.

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის 3
2. შესყიდვის ობიექტი 6
3. ტექნიკური დავალება 7
4. პრეტენდენტის მიმართ განსაზღვრული მოთხოვნები 9
5. პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი ინფორმაცია 10
6. საკვალიფიკაციო მოთხოვნები 10
7. დამატებითი ინფორმაცია 11
8. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი 12
9. რეკვიზიტები დანართი N1 19

ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

(წარმოადგენს საინფორმაციო ხასიათის მასალას და არ უნდა იყოს აღქმული, როგორც ტექნიკური დავალების ნაწილი)

1.1. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად.

1.2. სატენდერო წინადადების წარდგენისათვის უნდა იყოთ დარეგისტრირებული სისტემაში მიმწოდებლის სტატუსით. შემდეგ ვალდებული ხართ გაეცნოთ აფიდავიტს და დაეთანხმოთ მას.

1.3. ამის შემდეგ, მიმწოდებელი ვალდებულია ჯერ წარმოადგინოს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის ელექტრონული გარანტია, ხოლო შემდეგ გადაიხადოს ტენდერში მონაწილეობის საფასური.

1.4. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის ელექტრონული გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას სატენდერო განცხადებაში მითითებული სავარაუდო ღირებულების 1%–ის ოდენობით. ტენდერში მონაწილეობის საფასური შეადგენს 50 ლარს.

1.5. ელექტრონული გარანტიის წარდგენისა და საფასურის გადახდის სისტემაში არსებული ავტომატური საშუალებების გაუმართაობის შემთხვევაში, ყოველ კონკრეტულ ტენდერში, ელექტრონული გარანტიის წარდგენა და საფასურის გადახდა შესაძლებელია განხორციელდეს სისტემის გამოყენების გარეშეც, სააგენტოსთან შეთანხმებით, ტექნიკური დოკუმენტაციის სისტემაში ატვირთვამდე, „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული წესით გათვალისწინებული პროცედურების გამოყენებით. სააგენტოს წინასწარი თანხმობის მიღება ხდება წერილობითი ფორმით ან სააგენტოს ელექტრონული ფოსტის info@procurement.gov.ge მეშვეობით. აღნიშნული ქმედებების განხორციელების გარეშე თქვენ არ გექნებათ სატენდერო წინადადების წარდგენისა და, შესაბამისად, ტენდერში მონაწილეობის შესაძლებლობა.

1.6. ამ ინსტრუქციის 1.5. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, როდესაც ხდება ელექტრონული გარანტიის წარდგენა და საფასურის გადახდა სისტემის გამოყენების გარეშე, ელექტრონული გარანტიის დედანი და საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი წარედგინება შემსყიდველ ორგანიზაციას. აღნიშნული ქმედებების განხორციელების გარეშე თქვენ არ გექნებათ სატენდერო წინადადების წარდგენისა და შესაბამისად ტენდერში მონაწილეობის შესაძლებლობა.

1.7. ელექტრონული გარანტიის ოდენობა შეადგენს შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, ხოლო ვადა განისაზღვრება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში „წინადადებების მიღება დაწყებულია“ სტატუსით გათვალისწინებული ეტაპის დაწყებიდან არანაკლებ - 120 კალენდარული დღით (გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში) და 160 კალენდარული დღით (ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში).

1.8. ტენდერში მონაწილეობის მისაღებად პრეტენდენტს შეუძლია წარადგინოს წინადადება „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ეტაპზე. პრეტენდენტის მიერ წარდგენილი წინადადება ძალაშია აღნიშნული წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“, „რ“ ან „ტ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ეტაპის დადგომამდე.

1.9. სატენდერო წინადადება შედგება სატენდერო წინადადების ფასისგან და ტექნიკური დოკუმენტაციისგან.

1.10. ტექნიკური დოკუმენტაცია არის პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული შესყიდვის ობიექტისა და პრეტენდენტის შესახებ ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რომელიც მოთხოვნილია სატენდერო განცხადებითა და სატენდერო დოკუმენტაციით, გარდა ადმინისტრაციული ორგანოდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებისა.

1.11. ტექნიკური დოკუმენტაციის ატვირთვის შემდეგ, თქვენ გაქვთ შესაძლებლობა მიუთითოთ თქვენი სატენდერო წინადადების ფასი.

1.12. სატენდერო წინადადების ფასის მითითებისთანავე თქვენ უფლება გაქვთ მიიღოთ მონაწილეობა ელექტრონულ ვაჭრობაში, რომელიც იყოფა ძირითად დროდ და დამატებით 3 რაუნდად.

1.13. ძირითად დროში უფლება გაქვთ ცვალოთ თქვენი ფასი, კლებადობის პრინციპის გათვალისწინებითა და შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ ბიჯზე არანაკლები ოდენობით.

1.14. ბიჯი არის სატენდერო წინადადების ფასის კლების წინასაწარ განსაზღვრული მინიმალური ოდენობა, რომელიც მითითებულია სატენდერო განცხადების შესაბამის ველში.

1.15. ელექტრონული ვაჭრობის დამატებითი რაუნდები – ელექტრონული ვაჭრობის დამატებითი სამი რაუნდი (შემდგომში დამატებითი რაუნდები), რომელიც იწყება „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ძირითადი დროის დასრულებისთანავე და გრძელდება ამავე პუნქტის „მ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის დაწყებამდე. პირველი დამატებითი რაუნდი იწყება ხუთწუთიანი შესვენებით, ხოლო შემდგომი თითოეული დამატებითი რაუნდის დაწყებამდე მიმდინარეობს ორწუთიანი შესვენება. თითოეულ დამატებით რაუნდში პრეტენდენტს უფლება აქვს მხოლოდ ერთხელ შეამციროს წინადადების ფასი, რისთვისაც თითოეულ პრეტენდენტს განესაზღვრება ორი წუთი. დამატებით რაუნდებში მონაწილეობა სავალდებულო არ არის და პრეტენდენტს უფლება აქვს დამატებით რაუნდში მონაწილეობა არ მიიღოს და, შესაბამისად, ძალაში დარჩება მის მიერ ბოლოს დაფიქსირებული ფასი. დამატებით რაუნდებში მონაწილეობის მიღება გულისხმობს ზემოთ აღნიშნული პრინციპით ფასის შემცირებას ან მის იგივე ოდენობით დატოვებას.

1.16. დამატებით რაუნდებში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებმაც ძირითად დროში წარადგინეს წინადადება დადგენილი წესით. პირველ რაუნდში პრეტენდენტის მიერ წინადადების ფასის წარდგენის რიგითობა განისაზღვრება ძირითად დროში წარდგენილი წინადადების ფასის მიხედვით, კერძოდ, პირველ რაუნდში პირველ შეთავაზებას აკეთებს ის პრეტენდენტი, რომელმაც ძირითად დროში ყველაზე მაღალი ფასი დააფიქსირა, ხოლო ყოველ მომდევნო რაუნდში - კი ის პრეტენდენტი, რომელმაც წინა რაუნდში ყველაზე მაღალი ფასი დააფიქსირა. წინადადების თანაბარი ფასების დაფიქსირების შემთხვევაში, რაუნდში პირველ შეთავაზებას აკეთებს ის პრეტენდენტი, რომელმაც ბოლომ დააფიქსირა ასეთი ფასი.

1.17. მას შემდეგ, რაც დასრულდება დამატებითი რაუნდები, სისტემა პრეტენდენტებს აჯგუფებს სატენდერო წინადადების ფასის მიხედვით. ამის შემდეგ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მოწმდება ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის ტექნიკური დოკუმენტაცია.

1.18. იმ შემთხვევაში თუ ორი ან მეტი პრეტენდენტის მიერ სისტემაში მითითებულია თანაბარი ფასი, სისტემა ავტომატურად ანიჭებს უპირატესობას იმ პრეტენდენტს, რომელმაც პირველმა მიუთითა სატენდერო წინადადების აღნიშნული ფასი.

1.19. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეიცავს ისეთ მონაცემს ან/და შეიცავს ისეთ უზუსტობებს, რომელთა წარმოდგენა ან/და დაზუსტება არ გამოიწვევს ტექნიკური დოკუემნტაციის არსებით ცვლილებას და არ მოახდენს გავლენას წინადადების ფასზე, შემსყიდველი მას განუსაზღვრავს გონივრულ ვადას, მაგრამ არაუმეტეს 3 (სამი) სამუშაო დღისა ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტებისათვის.

1.20. თუ პრეტენდენტის ტექნიკური დოკუმენტაცია შეესაბამება სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს, შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს მას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გასაცემი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის მოთხოვნით (ასეთი მოთხოვნის შემთხვევაში, რისთვისაც განუსაზღვრავს გონივრულ ვადას, მაგრამ არა უმეტეს 5 სამუშაო დღისა.

1.21. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენა შემსყიდველ ორგანიზაციაში შესაძლებლია განხორციელდეს სისტემის გამოყენების გარეშე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით. პრეტენდენტს ასევე, უფლება აქვს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგინოს სისტემის მეშვეობით, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით წარმოდგენის ვალდებულება პრეტენდენტს წარმოეშობა ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისათვის.

1.22. იმ შემთხვევაში თუ ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტმა წარმატებით გაირა ყველა ზემოთ მოყვანილი ეტაპი (არ იქნა დისკვალიფიცირებული) შემსყიდველი დებს მასთან სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული წესით გათვალისწინებულ ვადებში.

1.23. პრეტენდენტი ექვემდებარება დისკვალიფიკაციას მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში:
ა) თუ მის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია, „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-12 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების გათვალისწინებით, არ შეესაბამება სატენდერო განცხადებას ან/და სატენდერო დოკუმენტაციას;
ბ) თუ პრეტენდენტი უარს იტყვის თავის სატენდერო წინადადებაზე;
გ) თუ მის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები არ შეესაბამება სატენდერო განცხადებას ან/და სატენდერო დოკუმენტაციას;
დ) თუ ის არ დააზუსტებს ტექნიკურ დოკუმენტაციას „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-12 მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილ ვადაში;
ე) თუ ის არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებს ამ წესის მოთხოვნათა დაცვით;
ვ) თუ ის არის „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-15 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გამარჯვებული პრეტენდენტი და არ წარმოადგენს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიას, უარს აცხადებს ხელშეკრულების დადებაზე ან/და სხვაგვარად გამოხატავს უარს ხელშეკრულების დადებაზე;
ვ) თუ ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით, ჩაიდენს არაკეთილსინდისიერ ქმედებას.

1.24. ამ ინსტრუქციის 1.23. ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს მიმართოს ყველაზე დაბალი ფასის მქონე მომდევნო პრეტენდენტს, თუ ამ პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაცია შეესაბამება სატენდერო განცხადებასა და სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემულ მოთხოვნებს.

1.25. იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალი იქნება შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველი ორგანიზაცია პრეტენდენტისაგან მოითხოვს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებას. რისთვისაც განისისაზღვრება ვადა 3 (სამი) სამუშაო დღით. ფასწარმოქმნის ადეკვატურობა, შესაძლებელია დასაბუთდეს ექსპერტიზის დასკვნით, შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით პრეტენდენტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებით, ანგარიშფაქტურით (ინვოისით) ან/და სხვა ისეთი დოკუმენტაციით, რომელიც ადასტურებს პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას. ამასთან ერთად, შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია, დასაბუთებული გადაწყვეტილებით, უარი თქვას ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთების მოთხოვნაზე.

1.26. გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ან ელექტრონული ტენდერის ჩატარებისას, „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“, „რ“ და „ტ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ეტაპის შემდეგ ელექტრონული გარანტია უბრუნდება პრეტენდენტს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:
ა) პრეტენდენტი უარს იტყვის თავის სატენდერო წინადადებაზე;
ბ) პრეტენდენტი შეყვანილია შავ სიაში შესაბამისი ტენდერის ჩატარების შედეგად;
გ) პრეტენდენტი დისკვალიფიცირებულია ამ წესის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“, „გ“, „ე“ - „ზ“ ქვეპუნქტების შესაბამისად.

1.27. იმ შემთხვევაში, თუ ელექტრონული გარანტიის პრეტენდენტისათვის დაბრუნება მოხდება ამ ინსტრუქციის 1.26. პუნქტით დადგენილი პირობების დარღვევით, პრეტენდენტი ვალდებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დაუბრუნოს საგარანტიო თანხა შესაბამისი მოთხოვნისთანავე.

1.28. ელექტრონული ტენდერის შეწყვეტა
ა) სატენდერო კომისიას უფლება აქვს შეწყვიტოს ტენდერი, თუ ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრედენდენტის დისკვალიფიკაციის შემდეგ, მომდევნო ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის წინადადების ფასი ბაზარზე შეცვლილი გარემოებების შედეგად, მნიშვნელოვნად აღემატება დისკვალიფიცირებული პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებულ ფასს ან/და ამ შესყიდვის ობიექტის საბაზრო ღირებულებას.
ბ) სატენდერო კომისიას უფლება აქვს გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის შემთხვევებში ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე;
გ) შესყიდვის პროცედურების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, შესყიდვაში მონაწილე პირებს წარუდგინოს კონკრეტული მტკიცებულება ან დეტალური ინფორმაცია, რომლის საფუძველზედაც მიიღო ეს გადაწყვეტილება. შესყიდვის პროცედურების შეჩერებისას ან შეწყვეტისას შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, აანაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

1.29. **ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.**

1.30. დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.31. **სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.**

1.32. ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.33. **პრედენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.**

1. შესყიდვის ობიექტი

შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის (The Global Fund to Fight AIDS , Tuberculosis and Malaria) დაფინანსებული ***„საქართველოში აივ/შიდსის პრევენციის, მკურნალობისა და მოვლის ღონისძიებების გაძლიერება და მდგრადობის უზრუნველყოფა“***პროგრამის ფარგლებში აივ/შიდსის გავრცელების მხრივ მაღალი რისკის ქცევის მქონე ჯგუფებში - ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებლები და კომერციული სექს მუშაკები - სარისკო ქცევების, აივ ინფექციის, C ვირუსული ჰეპატიტისა და სგგდ პრევალენტობის შესწავლის და ამავე მაღალი რისკის ჯგუფების პოპულაციის ზომის განსაზღვრის კვლევების მომსახურება.

ტერმინთა განმარტებები
ნიმ - ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებლები
ქსმ - ქალი სექს მუშაკი
აივ - ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი
შიდსი - შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი
სგგი - სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები

„მომსახურების“ გაწევის პერიოდი: ხელშეკრულების გაფორმებიდან 14 თვე, 2016 წლის ოქტომბრიდან 2017 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.

შესყიდვის ობიექტის ღირებულება: 781,400.00 (შვიდას ოთხმოცდაერთი ათას ოთხასი) ლარი.

2. ტექნიკური დავალება

მოდული	HSS - ჯანმრთელობის საინფორმაციო სისტემები და მონიტორინგი და შეფასება
ინტერვენცია	Surveys - კვლევები

2.1 აივ ინფექციის მაღალი რისკის შემცველ სამიზნე ჯგუფებში - ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებლები მდა კომერციული სექს მუშაკები, სარისკო ქცევაზე ზედამხედველობის და აივ ინფექციის გავრცელების ტენდენციის შესწავლის მიზნით ბიომარკერული/ქცევის ზედამხედველობის კვლევების განხორციელება;

1. ნარკოტიკების ინექციური მომხმარებლები

1.1. ნარკოტიკების ინექციური მომხმარებლების ქცევისა და ბიომარკერული კვლევა

კვლევა უნდა განხორციელდეს საქართველოს 7 (შვიდი) ქალაქში: თბილისი, ბათუმი, ზუგდიდი, თელავი, ქუთაისი, გორი, რუსთავი;

კვლევაში მონაწილე ნიმ-ების რაოდენობა არანაკლებ - 2050 ადამიანისა, მათ შორის თბილისში 370 და დანარჩენ 6 ქალაქში არანაკლებ 280 ნიმ-ი თითო ქალაქში.

კვლევის მონაწილეების ბიომარკერული ტესტირება უნდა მოიცავდეს აივ ინფექციასა სკრინინგულ და კონფირმაციულ და C ჰეპატიტზე სკრინინგულ კვლევებს.

ქცევების შეფასებისას უნდა იქნას უზრუნველყოფილი კოორდინაცია ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ეპიდზედამხედველობის სამმართველოსთან C ჰეპატიტის ელიმინაციის სტრატეგიული გეგმის საჭიროებების გათვალისწინების მიზნით.

1.2. ნარკოტიკების ინექციური მომხმარებლების **პოპულაციის ოდენობის განსაზღვრის კვლევის ჩატარება**

ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებელთა პრევალენტობის შეფასება საქართველოს 7 (შვიდი) ძირითად ქალაქში (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, ზუგდიდი, გორი, თელავი, რუსთავი) და ამ მონაცემების საფუძველზე ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებელთა სავარაუდო რაოდენობის განსაზღვრა მთელი ქვეყნის მასშტაბით. ამას გარდა, კვლევის შედეგად უნდა შეფასდეს ნარკოტიკების მოხმარების გავრცელების ტენდენცია. ნიმ-ების ქცევებისა და ბიომარკერული პრევალენტობის შემსწავლელი და პოპულაციის ზომის განსაზღვრის კვლევების ფარგლებში უნდა განისაზღვროს, ასევე ოპიოიდებზე დამოკიდებული ნიმ-ების სავარაუდო რიცხვი, რაც მნიშვნელოვანია მეთადონით ჩანაცვლების პროგრამების საჭიროებების განსაზღვრისათვის.

2. კომერციული სექს მუშაკები

2.1. ქსმ-ების ქცევებისა და ბიომარკერული კვლევა

კვლევა უნდა განხორციელდეს არანაკლებ 2 (ორი) ქალაქში, თბილისსა და ბათუმში.
ქსმ-ების კვლევაში მონაწილეთა მინიმალური რაოდენობა: თბილისში არანაკლებ 200 და ბათუმში არანაკლებ 150 ადამიანი. ქსმ-ების ბიომარკერული კვლევა უნდა მოიცავდეს აივ ტესტირებას (სკრინინგი და კონფირმაცია) და სგგი გამოკვლევებს (სიფილისი და გონორეა).

2.2. ქსმ-ების **პოპულაციის ოდენობის განსაზღვრის კვლევის ჩატარება**

კომერციულ სექს მუშაკთა პრევალენტობის შეფასება საქართველოს 2 (ორი) ძირითად ქალაქში (თბილისი და ბათუმი) და ამ მონაცემების საფუძველზე კომერიცულ სექს-მუშაკთა სავარაუდო რაოდენობის განსაზღვრა მთელი ქვეყნის მასშტაბით.

3. მოთხოვნები მომსახურების განხორციელების მეთოდოლოგიაზე

3.1 ქცევაზე ზედამხედველობის კვლევა ნიმ-ებში

ქცევაზე ზედამხედველობის კვლევა ნიმ-ებში უნდა ჩატარდეს ე.წ. ჯვარედინ-სექციური მეთოდით. რესპონდენტების შეგროვება უნდა მოხდეს ე.წ. Respodent Driven Sampling (RDS) მეთოდოლოგიის გამოყენებით. ორგანიზაციის მიერ უნდა მოხდეს ნარკოტიკების ინექციური მომხმარებლის მოზიდვა, ე.წ. „მარცვლების“ გამოყენებით. ‘‘მარცვლებთან’’ უნდა ჩატარდეს ინტერვიუ სპეციალური სტრუქტურიზებული კითხვარით, (შესაძლებელია კვლევის მონაწილეთა მცირე ფულადი წახალისება -მაგ. თითოეული მარცვალის ფულადი წახალისება დამატებითი სამი ახალი რესპოდენტის მოყვანისათვის).

ნიმ-ების შერჩევის სასურველი რაოდენობა თბილისში უნდა იყოს არანაკლებ 370 ხოლო დანარჩენ ქალაქებში არანაკლებ 280 მონაწილისა თითო ქალაქში.

3.2. ქცევაზე ზედამხედველობის კვლევა ქსმ-ებში

ქცევაზე ზედამხედველობის კვლევა ქსმ-ებში უნდა ჩატარდეს ე.წ. დროისა და ადგილის მიხედვით შერჩევის (Time-Location Sampling - TLS) მეთოდის გამოყენებით. კვლევის მონაწილე რესპოდენტების შესაგროვებლად პრეტენდენტის მიერ უნდა მოხდეს ე.წ. მეფინგი, რომელიც მიზნად ისახავს რესპოდენტების თავშეყრის ადგილების, დაახლოებითი რაოდენობისა და სამუშაო საათების დადგენას. რესპოდენტების რეკრუტირების მიზნით, შესაძლებელია მათი მცირე ფულადი წახალისება; რესპოდენტებტან ინტერვიუს ჩატარება უნდა მოხდეს წინასწარ შემუშავებული სპეციალური სტრუქტურირებული კითხვარის გამოყენებით.

ქსმ-ების შერჩევის სასურველი რაოდენობა კი უნდა იყოს არანაკლებ 200 მონაწილისა თბილისში და არანაკლებ 150 ბათუმში.

კვლევები უნდა ჩატარდეს ეთიკური ნორმების დადგენილი წესების დაცვის შესაბამისად. აუცილებელი იქნება ბიოეთიკური კომისიის დასკვნის მოპოვება რაც განმახორციელებელმა მომსახურების დაგეგმვისას უნდა გაითვალისწინოს.

ბიომარკერული ტესტირება:

ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებლები:

კვლევის ფარგლებში ბიომარკერული კომპონენტი უნდა მოიცავდეს სისხლის ნიმუშების ანალიზს აივ-ზე და C ჰეპატიტზე. აივ-ზე სკრინინგისათვის გამოყენებულ უნდა იქნეს HIV Ab&Ag Elisa ტესტი. აივ დადებითი ნიმუშები შემოწმებულ უნდა იყოს HIV BLOT 2.2 Western Blot კონფირმაციული ტესტის მეშვეობით. C ჰეპატიტზე ტესტირებისათვის გამოყენებულ უნდა იქნეს HCV Ab Elisa ტესტი.

კომერციული სექს მუშაკი ქალები:

კვლევის ფარგლებში ბიომარკერული კომპონენტი უნდა მოიცავდეს სისხლის ნიმუშების ანალიზს აივ-ზე და C ჰეპატიტზე. აივ-ზე სკრინინგისათვის გამოყენებულ უნდა იქნეს HIV Ab&Ag Elisa ტესტი. აივ დადებითი ნიმუშები შემოწმებულ უნდა იყოს HIV BLOT 2.2 Western Blot კონფირმაციული ტესტის მეშვეობით. C ჰეპატიტზე ტესტირებისათვის გამოყენებულ უნდა იქნეს HCV Ab Elisa ტესტი. სიფილისზე სისხლის ნიმუშები უნდა იყოს ტესტირებული SYPH IgM Elisa ტესტის მეშვეობით. ხოლო გონორეაზე შარდის ნიმუშების შემოწმება უნდა მოხდეს პოლიმერაზული ჯაჭვური სადეტექციო ტესტით.

3.3. ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებელთა პოპულაციის ზომის შემსწავლელი კვლევა კოეფიციენტის მეთოდით

ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებელთა პოპულაციის ზომის განსაზღვრისათვის გამოყენებულ უნდა იყოს ქსელის ზომის განსაზღვრის მეთოდი (Network Scale-Up, NSU), მოდიფიცირებული ჩაჭერა- უკუჩაჭერის მეთოდი (Capture-recapture, CRC) და კოეფიციენტების ტექნოლოგია (MultiplierBenchmark method).

ინფორმაციის მოძიება უნდა მოხდეს სულ ცოტა 2 (ორი) სხვადასხვა წყაროდან: 1) დაწესებულება ან სერვისი, რომელთანაც კონტაქტი აქვს ნიმ-ებს; 2) თავად ფარული პოპულაციის წევრები - ნიმ-ები (შესაძლებელია განხორციელდეს ქცევაზე ზედამხედველობის კვლევის დროს). ნიმ-ების ქცევებისა და ბიომარკერული პრევალენტობის შემსწავლელი და პოპულაციის ზომის განსაზღვრის კვლევების ფარგლებში უნდა განისაზღვროს ასევე კონკრეტულად ოპიოიდებზე დამოკიდებული ნიმ-ების სავარაუდო რიცხვი, რაც მნიშვნელოვანია მეთადონით ჩანაცვლების პროგრამების საჭიროებების განსაზღვრისათვის.

3.4. კომერციულ სექს მუშაკ ქალთა პოპულაციის ზომის შემსწავლელი კვლევა სერვისების მოხმარების კოეფიციენტის მეთოდით

სექს-მუშაკების პოპულაციის ზომის შეფასებისათვის გამოყენებული უნდა იყოს შემდეგი მეთოდები: ქსელის ზომის განსაზღვრა, ცენსუსი, ჩაჭერა- უკუჩაჭერა და სერვისის მოხმარების კოეფიციენტი. შემდგომ შეფასებები უნდა წარედგინოს ექსპერტების და დაინტერესებული პირების ჯგუფს, რათა მოხდეს ტრიანგულაცია და საქართველოში სექს-მუშაკების პოპულაციის ზომის შეძლებისდაგვარად ზუსტი შეფასების გამოყვანა.

ინფორმაციის მოძიება უნდა მოხდეს სულ ცოტა 2 (ორი) სხვადასხვა წყაროდან: 1) პროგრამის მონაცემთა სია, რომელიც მოიცავს მხოლოდ იმ პოპულაციის შესახებ ინფორმაციას, რომლის ზომის შეფასებაც არის დაგეგმილი (იმ სექს-მუშაკების რაოდენობა, ვინც გამოიყენა კლინიკის სერვისი ბოლო ექვსი თვის განმავლობაში); 2) თავად ფარული პოპულაციის წევრები - ქსმ-ები (შესაძლებელია განხორციელდეს ქცევაზე ზედამხედველობის კვლევის დროს).

3.5. მონაცემების დამუშავება და ანალიზი

კვლევების შედეგად შეგროვებული მონაცემები უნდა იყოს შეტანილი მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში, დამუშავებული სტატისტიკურად (მაგ. SPSS, PSPP, Stata etc). ამასთან, მომწოდებელმა უნდა უზრუნველყოს მონაცემთა შეყვანისა და მართვის ხარისხი. აღნიშნული ანალიზის შედეგების საფუძველზე უნდა მომზადდეს კვლევების საანგარიშო დოკუმენტები კვლევების შედეგების ანალიზის საფუძველზე უნდა მომზადდეს და წარმოდგენილი იყოს ანგარიშები ქართულ და ინგლისურ ენებზე, როგორც ბეჭდური ისე ელექტრონული ფორმით. ბეჭდური ანგარიშების რაოდენობა არის სულ მცირე 50 ანგარიში ქართულ და 50 ანგარიში ინგლისურ ენაზე. ტესტირებასა და დიაგნოსტირებაზე სრულად პასუხისმგებელია მომწოდებელი. ამასთან, მომწოდებლის მხრიდან შესყიდვების განხორციელების შემთხვევაში შესასყიდი პროდუქციის სპეციფიკაციები წინასწარ უნდა შეთანხმდეს შემსყიდველთან და მოთხოვნის შემთხვევაში, გლობალური ფონდის ადგილობრივ ფისკალურ აგენტთან. შესასყიდი ტესტებისა და სახარჯი მასალების განსაზღვრისას პრეტენდენტმა უნდა გაითვალისწინოს ხელშეკრულების დანართი N4.2.-ში მოცემული შემსყიდველის მიერ მომსახურების განსახორციელებლად მიმწოდებელზე გადასაცემი აქტივები. მიმწოდებელს საწვავით უზრუნველყოფს შემსყიდველი არაუმეტეს 5000 (ხუთი ათასი) ლიტრის ოდენობით. ამასთან, მიმწოდებელმა ხელშეკრულებაზე თანდართული ფორმის მიხედვით უნდა წარმოადგინოს პროგრამის განხორციელებაში ჩართული სატრანსპორტო საშუალებების ნუსხა საშუალო თვიური ლიმიტების შესახებ.

4. მიმწოდებლის მიერ წარმოსადგენი ანგარიშები და მოწოდების ვადები:

- ❖ ნარკოტიკების ინექციურ მომხარებლებში აივ/შიდსის გავრცელების მაღალი რისკის ქცევებისა და აივ ინფექციის და C ვირუსული ჰეპატიტის პრევალენტობა საქართველოში, ქართულ და ინგლისურ ენებზე, წარმოდგენის ვადა - 2017 წლის 10 ოქტომბერი.
- ❖ საქართველოში ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებელთა პოპულაციის ზომის შეფასება, ქართულ და ინგლისურ ენებზე, წარმოდგენის ვადა - 2017 წლის 10 ოქტომბერი.
- ❖ კომერციულ სექს მუშაკებ ქალებში აივ/შიდსის გავრცელების მაღალი რისკის ქცევებისა, C ვირუსული ჰეპატიტის და აივ ინფექციის და სიფილისის პრევალენტობა საქართველოში, ქართულ და ინგლისურ ენებზე, წარმოდგენის ვადა - 2017 წლის 10 ნოემბერი.
- ❖ საქართველოში ქსმ პოპულაციის ზომის შეფასება, ქართულ და ინგლისურ ენებზე, წარმოდგენის ვადა - 2017 წლის 10 ნოემბერი.

დამატებით, მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარმოუდგინოს ყოველთვიური ანგარიშები დადგენილი ფორმით ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შესახებ შესაბამის ფინანსურ ანგარიშებთან ერთად, როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული ფორმით ქართულ ენაზე; ამასთან, მომსახურების მოწოდების პერიოდში შემსყიდველმა შეიძლება მოითხოვოს კვლევის მიმდინარეობის პერიოდული ანგარიშები; ანაზღაურება მოხდება ყოველთვიური ანგარიშების საფუძველზე. ანგარიშგების მოთხოვნები და ფორმები წარმოდგენილია ხელშეკრულების პროექტის დანართების (დანართი 1ა და დანართი 2) სახით.

5. პრეტენდენტის მიმართ განსაზღვრული მოთხოვნები

5.1. ტენდერში მონაწილე ორგანიზაციას უნდა გააჩნდეს მსგავსი (ანალოგიური) პროექტების მართვის გამოცდილება.
5.2. პრეტენდენტს (არსებობის შემთხვევაში მის ქვე-კონტრაქტორს) უნდა გააჩნდეს აივ ინფექცია/შიდსის ეპიდემიოლოგიის და პროგრამული მონიტორინგის სფეროში კვლევების განხორციელების დოკუმენტურად დასაბუთებული გამოცდილება, კერძოდ:
ა) მაღალი რისკის ჯგუფების (ნიმ-ები და ქსმ-ბი) პოპულაციის სავარაუდო ზომის განსაზღვრის სულ მცირე ერთი კვლევის განხორციელების გამოცდილება, დასაბუთებული დოკუმენტურად (კვლევის ანგარიში ქართულ და/ან ინგლისურ ენებზე);
ბ) მაღალი რისკის მქონე და ძნელად მისაწვდომ მოსახლეობის ჯგუფებში (ნიმ-ები და ქსმ-ები) რაოდენობრივი კვლევების: დიზაინის, დაგეგმვის, მართვის, ველის განხორციელების, ველის ხარისხის კონტროლის, მონაცემების ანალიზის და კვლევის ანგარიშების ინგლისურ და ქართულენოვანი ვერსიების მომზადების სულ მცირე ერთჯერადი გამოცდილება. ამ გამოცდილების დასადასტურებლად განაცხადს უნდა დაერთოს ამგვარი კვლევის ელექტრონული ანგარიშები ან პუბლიკაციის ელექტრონული ბმულები;
გ) მომსახურების შესყიდვის პერიოდისთვის პრეტენდენტს ან მის ქვე-კონტრაქტორს გააჩნდეს აქტიური წვდომა პროექტით განსაზღვრულ მაღალი რისკის მქონე ჯგუფებზე (ნიმ-ები და ქსმ-ები), მითითებულ ქალაქებში: თბილისი, ბათუმი, ზუგდიდი, თელავი, ქუთაისი, გორი, რუსთავი. აღნიშნულ ქალაქებში ბოლო 2 წლის განმავლობაში განხორციელებული პროექტი/პროგრამა, რომელიც კონცენტრირდებოდა პროექტით განსაზღვრულ მაღალი რისკის მქონე ჯგუფებზე და მოითხოვდა მათთან უწყვეტ კონტაქტს ჩაითვლება ამგვარი გამოცდილების დასაბუთებად;
დ) ბიომარკერული კვლევებისთვის საჭირო ხარისხიანი ლაბორატორიული მომსახურების მიწოდების სულ მცირე 5 წლიანი გამოცდილება და კვლევისთვის საჭირო ლაბორატორიული ანალიზის ხარისხის კონტროლისა და უზრუნველყოფის გამართული სისტემა დადასტურებული შესაბამისი დოკუმენტებით;
ე) კვლევაში ჩართულ ძირითად პერსონალს უნდა გააჩნდეს მსგავს კვლევაში შესაბამის პოზიციაზე მუშაობის გამოცდილება;
5.3. ტენდერში მონაწილე ორგანიზაციას 2014 წლიდან მოყოლებული უნდა გააჩნდეს ჯანმრთელობის დაცვის სფეროში არანაკლებ 700,000.00 ლარის ჯამური ღირებულების მსგავსი პროექტების/კონტრაქტების მართვის გამოცდილება;

6. პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი ინფორმაცია*

პრეტენდენტის მიერ, სისტემაში ატვირთული დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს შემდეგ დოკუმენტებსა და ინფორმაციას:

- პრეტენდენტის რეკვიზიტები დანართი #1-ის შესაბამისად;
- ანგარიშსწორების პირობები;
- დოკუმენტურად დასაბუთებული ინფორმაცია პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ; წინამდებარე დოკუმენტში მითითებული მოთხოვნების შესაბამისად (იხ. „5. პრეტენდენტის მიმართ განსაზღვრული მოთხოვნები“)
- კვლევის განხორციელების დეტალურ მეთოდოლოგია და განხორციელების გეგმა (ქართულ და ინგლისურ ენებზე);
- ძირითადი პერსონალის კომპოზიაცია და ფუნქციები; პერსონალის CV;
- მომსახურებით გათვალისიწინებული თითოეული აქტივობის დეტალური გეგმა გრაფიკი;
- ინფორმაცია ქვეკონტრაქტორების მიერ შესასრულებელი სამუშაოების შესახებ;
- სატენდერო წინადადების ფასი თანდართული ბიუჯეტის განაწილების ფორმების (დანართი 6 და დანართი 6.1.) შესაბამისად;

7. საკვალიფიკაციო მოთხოვნები

1. საკვალიფიკაციო მოთხოვნების თანახმად, პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

1.1. იურიდიული პირისათვის:
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან. (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან).

1.2. ფიზიკური პირისათვის:
- ცნობა სათანადო დაწესებულებიდან, რომ არ მიმდინარეობს მის მიმართ გადახდისუუნარობის/გაკოტრების საქმის წარმოება.

1.3. როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირებისათვის:
- ცნობა შემოსავლების სამსახურიდან სახელმწიფო ბიუჯეტისადმი დავალიანების არარსებობის შესახებ.

არარეზიდენტმა პირებმა პირველ პუნქტში მითითებული საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ სათანადო უფლებამოსილი ორგანოდან, დადგენილი წესით დამოწმებული თარგმანის სახით - ლეგალიზებული ფორმა.

* ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემულ უნდა იყოს:
ა) გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში – „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის (ტენდერი გამოცხადებულია) დაწყების შემდეგ, ხოლო არარეზიდენტი პრეტენდენტის შემთხვევაში – საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის (ტენდერი გამოცხადებულია) დაწყებამდე არაუგვიანეს ოცდაათი დღისა.
ბ) ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში – „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის (წინადადების მიღება დაწყებულია) დაწყების შემდეგ, ხოლო არარეზიდენტი პრეტენდენტის შემთხვევაში – საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის (წინადადების მიღება დაწყებულია) დაწყებამდე არაუგვიანეს ოცდაათი დღისა.
* ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები, წარმოდგენილ უნდა იქნეს შემსყიდველ ორგანიზაციაში მოთხოვნიდან არა უმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში. არარეზიდენტმა პრეტენდენტ(ებ)მა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.
* პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლების წარმოდგენა შემსყიდველ ორგანიზაციაში ხდება სისტემის მეშვეობით. ასეთ შემთხვევაში შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს მოსთხოვოს პრეტენდენტს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით წარმოდგენა ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისათვის. პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოუდგენლობის ან/და ხარვეზის მქონე მონაცემების წარმოდგენის შემთხვევაში, სატენდერო კომისია ვალდებულია მოახდინოს ამ პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია.

8. დამატებითი ინფორმაცია:

1. პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

2. სატენდერო წინადადების ღირებულება უნდა მოიცავდეს ამ ტენდერით გათვალისწინებული მომსახურებასთან და მოწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს. ხარჯები, რომლებიც სატენდერო წინადადების ფასში არ იქნება გათვალისწინებული, არ დაექვემდებარება ანაზღაურებას. სატენდერო წინადადების ღირებულება წარმოდგენილი უნდა იყოს დამატებული ღირებულების (დღგ) გარეშე.

3. მომსახურების მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად.

4. სატენდერო წინადადების ღირებულება (ერთეულის და საერთო ფასი) წარმოდგენილი უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

5. ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, უნაღდო ანგარიშსწორებით, გაწეული მომსახურების შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. ასევე შესაძლებელია გამოყენებული იქნეს წინასწარი გადახდის მექანიზმი სატენდერო ღირებულების მაქსიმუმ 10%-ის ოდენობით, რისთვისაც მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია წინასწარი გადასახდელი თანხის სრული ოდენობით.

6. ტენდერში გამოიყენება ხელშეკრულების უზრუნველყოფის მექანიზმი. რისთვისაც გამარჯვებულმა კომპანიამ უნდა წარმოადგინსო საბანკო გარანტია ხელშეკრულების ღირებულების 2% ოდენობით.

7. რამდენადაც მომსახურება წარმოადგენს ინტელექტუალური მომსახურების ხასიათის შესყიდვას, ტენდერში პრეტენდენტს არ მოეთხოვება ფასწარმოქმნის ადექვატურობის დასაბუთება, იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალი იქნება შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე.

8. მიმწოდებელი ვალდებულია გაეცნოს და დაეთანხმოს აფიდავიტის პირობებს, რა სახითაც იგი წარმოდგენილი იქნება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში, სატენდერო წინადადების წარდგენამდე. აფიდავიტის პირობებზე დათანხმება ხდება ერთიან ელექტრონულ სისტემაში ელექტრონულად შესაბამის ღილაკზე დაჭერით.

9. პრეტენდენტი უნდა გაეცნოს გლობალური ფონდის ეთიკურ გაიდლაინს http://www.theglobalfund.org/en/operational და GEO-H-NCDC საგრანტო ხელშეკრულების თანდართულ სტანდარტულ პირობებს

10. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი საკონტაქტო პირებისაგან:
სატენდერო კომისიის აპარატის წევრები: დავით მღებრიშვილი, ხათუნა კაპანაძე სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ერონული ცენტრი“ (მისამართზე: ქ. თბილისი, ასათიანის ქ. №9) მე-5 სართული, ტელეფონი: (995 32) 2398946 – შიდა (187).

ხელშეკრულება № GEO-H-NCDC/SR ---
(სახელმწიფო შესყიდვის შესახებ)

ქ. თბილისი --- 2016 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1 ერთი მხრივ, სსიპ „ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კოტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“ (შემდგომში “შემსყიდველი”), წარმოდგენილი ---------- სახით და მეორე მხრივ, ----------, (შემდგომში “მიმწოდებელი”) წარმოდგენილი მისი ხელმძღვანელის ---------- სახით, ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. შემსყიდველმა მრავალწლიანი ელექტრონული ტენდერის საშუალებით (SPA1600 -------) განახორციელა შიდსთან, ტუბერკულოზსა და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდის (The Global Fund to Fight AIDS, Tuberculosis and Malaria) დაფინანსებული **„საქართველოში აივ/შიდსის პრევენციის, მკურნალობისა და მოვლის ღონისძიებების გაძლიერება და მდგრადობის უზრუნველყოფა“** პროგრამის (შემდგომში „პროგრამა“)**„აივ/შიდსის გავრცელების მხრივ მაღალი რისკის ქცევის მქონე ჯგუფში (ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებლები, კომერციული სექს-მუშაკი ქალები) სარისკო ქცევების, აივ ინფექციის, C ვირუსული ჰეპატიტისა და სგგდ პრევალენტობის შესწავლის და პოპულაციის რაოდენობის განსაზღვრის კვლევები“** პროექტის (შემდგომში „პროექტი“) ფარგლებში მომსახურების შესყიდვა (CPV85100000-ჯანდაცვის სფეროს მომსახურებები) შესყიდვა, რაზედაც მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ხსენებული მომსახურება ---------- ლარად (შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება“). სახელშეკრულებო ღირებულება მოიცავს ყველა ხარჯს, მათ შორის დამატებული ღირებულების გადასახადს.

მომსახურების გაწევის პერიოდია 2016 წლის --- ოქტომბრიდან 2017 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.

3. ხელშეკრულების ზოგადი დებულებანი.

3.1 წინამდებარე ხელშეკრულება და ხელშეკრულების დანართები, რომლებიც ითვლება მის განუყოფელ ნაწილად, ერთად ქმნის მოცემულ ხელშეკრულებას.

3.2. ზემოაღნიშნულ დოკუმენტებში დაფიქსირებული ყველა მონაცემი, პარამეტრი, ვადები, ტექნიკური და სხვა პირობები, მათ შორის, მხარეთა პასუხისმგებლობის ფორმები წარმოადგენს ამ ხელშეკრულების პირობებს.

3.3. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას განახორციელოს მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

3.4. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას წარმოდგენილი ანგარიშებისა და მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე დააფინანსოს მიმწოდებელის მიერ პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებული მომსახურებები; შეიძინოს, მიიღოს და სარგებლობის უფლებით მიმწოდებელს გადასცეს პროგრამის აქტივები ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

4.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

“შემსყიდველი”	**“მიმწოდებელი”**
სსიპ “ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კოტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი”	----------
მისამართი: ქ.თბილისი, ასათიანის ქ. № 9 ს/კ – 211324351 ბ/კ – სახელმწიფო ხაზინა TRESGE22 ა/ა – GE24NB0330100200165022	

ირმა ხონელიძე გენერალური დირექტორის მოადგილე / გლობალური ფონდის პროგრამების დირექტორი	

ხელშეკრულების პირობები

1. მხარეთა ვალდებულებები
1.1. მიმწოდებელი ვალდებულია:
1.1.1 განახორციელოს პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები ხარისხიანად და გეგმა-გრაფიკის (დანართი №8) შესაბამისად;
1.1.2 ფლობდეს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორებისთვის ცალკე საბანკო ანგარიშს კომერციულ ბანკში, რომელიც სრულად აკმაყოფილებს ყველა მოქმედ ადგილობრივ და საერთაშორისო საბანკო სტანდარტებს და მარეგულირებელ ნორმებს, მათ შორის კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნებს;
1.1.3 აწარმოოს (და უზრუნველყოს, რომ ქვეკონტრაქტორმა აწარმოოს) საბუღალტრო აღრიცხვა (ჩანაწერები, დოკუმენტები და სხვა), რომელშიც დეტალურად ასახულ იქნება პროგრამასთან და მის განხორციელებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი ყველა დანახარჯი და შემოსავალი. პროგრამასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია უნდა ინახებოდეს მიმწოდებელთან (ასევე ქვეკონტრაქტორებთან), ბოლო გადახდის თარიღიდან სულ მცირე შვიდი წლის განმავლობაში, ან უფრო მეტი ხნის განმავლობაში, რომელიც საჭირო იქნება ნებისმიერი პრეტენზიის ან აუდიტის შედეგად გამოვლენილი შედეგების გამოსასწორებლად, ან თუ ამას მოითხოვს გლობალური ფონდი ან შემსყიდველი;
1.1.4 უზრუნველყოს პროგრამის განხორციელების პერიოდში შემსყიდველისგან მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე მიღებული (ხელშეკრულების დანართი №4-2) საქონლის (ძირითადი აქტივები, მატერიალური მარაგები, და სხვა) დაცვა/უსაფრთხოება, გასწიოს მათი მოვლისთვის/ექსპლუატაციისთვის საჭირო გონივრული ხარჯები და უზრუნველყოს აქტივების საექსპლუატაციო პირობების სრული დაცვა, იქონიოს (და უზრუნველყოს, რომ ქვე– კონტრაქტორებმა იქონიონ) ხელშეკრულების ფარგლებში გადაცემული ყველა სახარჯი მასალის ხარჯვის ჩანაწერები.
1.1.6 არაადეკვატური ექსპლუატაციით და/ან დაკარგვით მიყენებული ზიანის შემთხვევაში, აუნაზღაუროს შემსყიდველს მიყენებული მატერიალური ზარალი;
1.1.7 გამოიყენოს აქტივები მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნებისათვის;
1.1.8 უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში შესყიდული საქონლის ეფექტური და უსაფრთხო ლოჯისტიკა მიწოდების ჯაჭვის ნებისმიერ ეტაპზე;
1.1.9 დროულად აცნობოს შემსყიდველს ნებისმიერი ნაკლი ან/და ხარვეზი, რომელიც გამომჟღავნდება აქტივების ადეკვატური ექსპლუატაციის შედეგად. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი შეგნებულად არ უმხელს შემსყიდველს აქტივების შეძენილ ნაკლს ან/და ხარვეზს, მაშინ მიმწოდებელი ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს შემსყიდველს მიყენებული ზარალი;
1.1.10 პასუხისმგებელია წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში შესყიდული ნებისმიერი საქონლის (მათ შორის, ქვეკონტრაქტორისთვის გადაცემული) დაკარგვაზე ან დაზიანებაზე. დაკარგვის ან დაზიანებისთანავე მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ასეთი საქონელის შეცვლა საკუთარი ხარჯით;
1.1.11 ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ, ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის, ასევე შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში, წერილობითი შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) დღის ვადაში, უპირობოდ დაუბრუნოს შემსყიდველს სარგებლობაში გადაცემული აქტივები და გაუხარჯავი სახარჯი მასალა. აქტივები უნდა დააბრუნოს ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში, რაზედაც უნდა გაფორმდეს აქტივების დაბრუნების მიღება-ჩაბარების აქტი;
1.1.12 მიიღოს ზომები, რათა არ დაუშვას ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული თანხების, ან აქტივების გამოყენება ძალადობის და/ან ტერორიზმის მიზნებისთვის ან ფულის გათეთრების საქმიანობების მხარდასაჭერად, და/ან იმ ორგანიზაციების მხარდასაჭერად, რომლებიც მხილებულნი არიან ტერორიზმის ან ფულის გათეთრების საქმიანობაში. მიმწოდებელი ვალდებულია დაიცვას გლობალური ფონდის (დონორის მიერ პერიოდულად განახლებადი და გლობალური ფონდის ვებ. გვერდზეhttp://www.theglobalfund.org/en/operational განთავსებული) „ქცევის კოდექსი გლობალური ფონდის სახსრების რეციპიენტებისთვის“ და უზრუნველყოს მისი გაცნობა ქვეკონტრაქტორებისთვის.
1.1.13 მიმწოდებელი ვალდებულია იხელმძღვანელოს და დაიცვას გლობალური ფონდის გრანტების შესახებ მარეგულირებელი ნორმები (2014),რომელიც თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს (დანართი N 9).
1.1.14 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს, რომ მან და მისმა ქვეკონტრაქტორებმა გლობალური ფონდის, მათ შორის გენერალური ინსპექტორატის წარმომადგენლებს და გლობალური ფონდის მიერ უფლებამოსილ მესამე მხარეს მისცენ შეუზღუდავი წვდომის უფლება შემდეგზე: (ა) საბუღალტრო წიგნები, ჩანაწერები, დოკუმენტები და წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სხვა მტკიცებულებანი (ფინანსური და პროგრამული), რომელსაც მიმწოდებელი აწარმოებს პროგრამასთან დაკავშირებით; (ბ) მიმწოდებლის და ყველა ქვეკონტრაქტორის შენობა- ნაგებობებში, სადაც პროგრამასთან დაკავშირებული საბუღალტრო წიგნები და ჩანაწერები ინახება და/ან პროგრამული ღონისძიებები ხორციელდება ან ხორციელდებოდა; (გ) მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს, რომ ყველა ქვეკონტრაქტორთან დადებული ხელშეკრულება შეიცავდეს ამ პუნქტში განსაზღვრულ შეუზღუდავი წვდომის უფლებას. შეუზღუდავი წვდომის უფლების დარღვევა განიხილება ამ ხელშეკრულების პირობების დარღვევად.

1.2. შემსყიდველი ვალდებულია:
1.2.1. წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად, უზრუნველყოს ადეკვატური და დროული ანგარიშსწორება.
1.2.2. უზრუნველყოს მიმწოდებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული აქტივებით (დანართი №4-2);
1.2.3. უზრუნველყოს მიმწოდებლის დროული ინფორმირება გლობალური ფონდის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ცვლილებების თაობაზე. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის გამოც წარმოიშვა აღნიშნული ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა.

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი
2.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს და პროგრამის მონიტრინგს ახორციელებს შემსყიდველის მიერ შექმნილი ინსპექტირებისა და მონიტორიგის ჯგუფი
2.2 ინსპექტირება:
ა) შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებისთვის შემსყიდველი განახორციელებს გაწეული მომსახურების ინსპექტირებას;

ბ) ინსპექტირება განხორციელდება ყოველთვიურად, მიმწოდებელის მიერ შემსყიდველისათვის წარდგენილი ანგარიშების/დოკუმენტაციის განხილვის საფუძველზე;
გ) ინსპექტირების ჯგუფის მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე მხარეთა შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.
2.3 მონიტორინგი:
ა) შემსყიდველი იტოვებს უფლებას განახორციელოს პროგრამულ/ფინანსური ნაწილის კვარტალური მონიტორინგი ადგილზე ვიზიტის საფუძველზე (როგორც მიმწოდებელთან, ასევე მის ქვეკონტრაქტორებთან);
ბ) მონიტორინგის განმახორციელებელი ჯგუფი ვალდებულია აცნობოს მიმწოდებელს მონიტორინგის შედეგები;
გ)მიმწოდებელი ვალდებულია უმოკლეს ვადაში საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ნსპექტირების/ მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, მათი არსებობის შემთხვევაში;
დ) მიმწოდებლის მიერ წარდგენილი ყველა დოკუმენტის დედანი (ხოლო ქვეკონტრაქტორებისგან მიღებული დოკუმენტაციის ასლი) სავალდებულოა ინახებოდეს მიმწოდებელთან (ქვეკონტრაქტორებთან უნდა ინახებოდეს მათ მიერ მიმწოდებელისთვის წარდგენილი დოკუმენტაციის დედანი) და მოთხოვნის შემთხვევაში წარედგინოს შემსყიდველს;
ე) პროექტის ინდიკატორების შესრულების მონიტორინგის მიზნით მიმწოდებელი შემსყიდველს, მოთხოვნის შესაბამისად, წარუდგენს სათანადო ინფორმაციას.

2.4 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებელის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

3 მომსახურების განხორციელების პირობები (გეგმა-გრაფიკი)
3.1 პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება ხორციელდება 2016 წლის ოქტომბრიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, შეთანხმებული გეგმა-გრაფიკის (ხელშეკრულების დანართი №8) მიხედვით. დანართი N8 წარმოადგენს საორიენტაციო გეგმა-გრაფიკს, საჭიროების შემთხვევაში, მხარეები ერთობლივად თანხმდებიან გეგმა- გრაფიკის ცვლილების საკითხზე.

4. დაზღვევა
4.1 მიმწოდებელმა გონივრულ ფასად უნდა უზრუნველყოს, შემსყიდველის სასარგებლოდ, პროგრამის განხორციელებისათვის გამოყენებული აქტივების დაზღვევა, ბიუჯეტით ამ დანიშნულებით გათვალისწინებული თანხების ფარგლებში, კარგი რეპუტაციის მქონე, სტაბილურ სადაზღვევო კომპანიებში. დაზღვევის არ არსებობის შემთხვევაში, გადაცემულ აქტივებზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს.

5. შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების წესი
5.1 მიმწოდებელი შემსყიდველს, დადგენილი ფორმით ყოველი მომდევნო თვის 10 (ათი) კალენდარულ დღის ჩათვლით წარუდგენს ყოველთვიურ ანგარიშს ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შესახებ, რომელსაც თან უნდა ახლდეს ხარჯების დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტაციის ასლები, ამონაწერი მომსახურე ბანკიდან და ბრუნვითი ბალანსის ასლები. ანგარიში შემსყიდველს წარედგინება როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული ფორმით ქართულ ენაზე;
5.2 შემსყიდველი მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ ყოველთვიურ ანგარიშს დადგენილი ფორმით განიხილავს წარმოდგენიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.
5.3 შესრულებული სამუშაო მიღებულად ჩაითვლება ამ მუხლის 5.1 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი ანგარიშისა და წინამდებარე ხელშეკრულების 2.1 პუნქტით განსაზღვრული ინსპექტირების ჯგუფის მიერ მომზადებული ინსპექტირებისა და მიღება-ჩაბარების აქტების (დანართი N3) გაფორმების საფუძველზე;
5.4 შემსყიდველი უფლებამოსილია შეცვალოს ინფორმაციის წარმოდგენისა და ანგარიშგების ფორმები, რის შესახებაც 30 (ოცდაათი) დღით ადრე წერილობით უნდა აცნობოს მიმწოდებელს.

6. სტანდარტები
6.1 მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურების განხორციელებისას იხელმძღვანელოს საერთაშორისოდ აღიარებული და/ან ქვეყანაში მოქმედი სტანდარტებით;
6.2 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მხრიდან შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს არაჯეროვნად შესრულებული ღონისძიებების ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;
6.3 მიმწოდებელის მიერ, 6.2 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები პროგრამის განხორციელებისას წარმოქმნილი ხარვეზების გამოსწორებისათვის და დააკავოს შესაბამისი ხარჯები ხელშეკრულების თანხიდან.

7. ხელშეკრულების ღირებულება
7.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს ---------- ლარს, რომლის პარამეტრები წარმოდგენილია დანართი- N6-სა და დანართ N6-1-ში;
7.2 შემსყიდველი მიმწოდებელს დამატებით უზრუნველყოფს მომსახურების გასაწევად აუცილებელი საქონლით (დანართები N4-2).
7.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
7.4 ცვლილების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია, წინამდებარე ხელშეკრულების მე-10 მუხლის თანახმად.

8. ანგარიშსწორების პირობები
8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

8.2 მიმწოდებლის მიერ წინასწარი ანგარიშსწორების მოთხოვნის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია მოახდინოს წინასწარი ანგარიშსწორება, არაუმეტეს სახელშეკრულებო ღირებულების 10%–ის ოდენობით. ამასთან მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველს შესაბამისი თანხის იდენტური ოდენობის საბანკო გარანტია;

8.3 საბანკო გარანტია უნდა შეიცავდეს გარანტიის გამცემის ვალდებულებას შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისთვის წინასწარ ავანსად გაცემული თანხის აღნიშნული ხელშეკრულების პირობების შესრულებისგან განსხვავებული მიზნებისათვის გამოყენების ფაქტების გამოვლენის შემთხვევაში, შემსყიდველს მისი პირველივე მოთხოვნისთანავე გადაურიცხოს გარანტიით განსაზღვრული თანხა.

8.4 მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი წინასწარი ანგარიშსწორების საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 30 (ოცდაათი) დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას. იმ შემთხვევაში თუ წარმოდგენილი გარანტიის ვადა ნაკლებია ზემოაღნიშნულზე, მიმწოდებელი ვალდებულია გაახანგრძლივოს გარანტიის მოქმედების ვადა შემსყიდველის მოთხოვნისთანავე;

8.5 მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში საბანკო გარანტია გამოყენებული იქნება მიმწოდებლის მიერ შეუსრულებელი ვალდებულების ასანაზღაურებლად;

8.6 წინამდებარე ხელშეკრულების 8.2 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების და მიმწოდებელის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე შემსყიდველი არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში გადაურიცხავს მიმწოდებელს შესაბამისი ოდენობის თანხას;

8.7 ანგარიშსწორება განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N 3-ის შესაბამისად.

8.8. შემსყიდველის მიერ ყოველი თვის გაწეული მომსახურების ანაზღაურება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში;

8.9 პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსების გარდა თანხების სხვა მიზნით გამოყენება (თუნდაც დროის მცირე მონაკვეთში) დაუშვებელია. მკაცრად იკრძალება ნებისმიერი საშუალებით თანხების გადარიცხვა, გადახდა, გადაცემა ან კონვერტაცია:

ა) მესამე მხარესთვის, რომელიც უშუალოდ არ არის დაკავშირებული პროგრამის და ამ ხელშეკრულების განხორციელებასთან;

ბ) ღონისძიებებისთვის, რომლებიც პროგრამის უშუალო მხარდაჭერას არ უკავშირდება;

8.10 შემსყიდველი უფლებამოსილია მიმართოს ამ ხელშეკრულების შეწყვეტის ან შეზღუდვების გამოყენების უფლებას სახელშეკრულებო თანხების ნებისმიერი ტრანზაქციის შემთხვევაში, რომელიც ამ ხელშეკრულების 1.1.13 ან

8.9 მუხლების პირობების დარღვევით შესრულდება (შემდგომში „არასანქცირებული ტრანზაქცია“);

8.11 მიმწოდებელს ეკისრება სრული პასუხისმგებლობა, ფინანსური და სხვა, არასანქცირებული ტრანზაქციით გამოწვეულ ზარალზე, და უნდა აუნაზღაუროს შემსყიდველს არასანქცირებული ტრანზაქციით გამოწვეული ზარალის ან მიღებული შემოსავლის ოდენობა.

9. გადასახადები

9.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 შემსყიდველის მიერ შესაძლებელია ხელშეკრულებაში შეტანილ იქნას ცვლილებები აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის (The Global Fund to Fight AIDS, Tuberculosis and Malaria) მოთხოვნების შესაბამისად;

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულება იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელთა გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა;

10.3 ხელშეკრულების დანართი №11-ით განსაზღვრული პროგრამის განხორციელებაში ჩართული სატრანსპორტო საშუალებების საწვავის საშუალო თვიური ლიმიტების გაზრდა ან/და შემცირება შესაძლებელია განხორციელდეს შემსყიდველთან წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების ცვლილების გარეშე.

10.4 წინამდებარე ხელშეკრულების 10.3 პუნქტში გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება, უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად“.

11. უფლებების გადაცემა

11.1 მიმწოდებელს არა აქვს უფლება მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი, გარდა ქვეკონტრაქტორისა.

11.2 აქტივების, ვალდებულებების ან უფლება-მოვალეობების ქვეკონტრაქტორებისთვის გადაცემის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია შეატყობინოს შემსყიდველს.

12. მიმწოდებელის („სუბრეციპიენტი“) ქვე კონტრაქტორი („სუბ–სუბრეციპინეტი“)

12.1 „სუბ–სუბრეციპიენტი“ ნიშნავს მიმწოდებლის ქვე–კონტრაქტორ იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელიც უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული კონკრეტული ღონისძიებების განხორციელებას;

12.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დასადები ყველა ხელშეკრულება მიმწოდებელსა და მის ქვე–კონტრაქტორს შორის უნდა გაფორმდეს წერილობითი სახით;

12.3 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში წარმოიშობა ახალ ქვე–კონტრაქტორთან ხელშეკრულების დადების და/ან ქვე–კონტრაქტორის შეცვლის აუცილებლობა, მიმწოდებელმა წინასწარ წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა;

12.4 ამ ხელშეკრულების ფარგლებში ქვე–კონტრაქტორთან დადებული ყველა ხელშეკრულების ასლი უნდა

წარედგინოს შემსყიდველს;
12.5 ამ ხელშეკრულების ფარგლებში, ქვე–კონტრაქტორთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

13. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება
13.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ უმოკლეს დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, აღნიშნული უნდა განხორციელდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

14. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
14.1 მიმწოდებელის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, გარდა ფორს-მაჟორული პირობებისა, შემსყიდველი უფლებამოსილია გამოიყენოს ხელშეკრულების ამ პუნქტით გათვალისწინებული სანქციები;
14.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, შემსყიდველი მიმწოდებელს დააკისრებს პირგასამტეხლოს, ვალდებულების შესრულების ყოველ გადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი აქტივობის ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.
14.3 ხელშეკრულების 8.6 და 8.8 პუნქტით განსაზღვრული ვადების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გადასახდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით.
14.4 მიმწოდებლის მხრიდან წინამდებარე ხელშეკრულების 8.9 პუნქტის პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებლის მიერ გახარჯული თანხა არ ანაზღაურდება;
14.5 მიმწოდებელი ვალდებულია ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში დაკისრებული პირგასამტეხლო გადაიხადოს წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში.
14.6 შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის დაკისრებული პირგასამტეხლო არ შეიძლება გადახდილ იქნას წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხებიდან.

15. ხელშეკრულების შესრულების გარანტია
15.1. იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული რისკი, წარმოქმნილი მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, ამ ხელშეკრულებაში გამოიყენება საბანკო გარანტია ხელშეკრულების ღირებულების 2%-ის ოდენობით, რაც შეადგენს ----------ლარს.
15.2 წინამდებარე ხელშეკრულება უწყვეტად უზრუნველყოფილი უნდა იყოს ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიით, ხელშეკრულების მოქმედების სრული პერიოდის განამავლობაში.
15.3 ხელშეკრულების შესრულების გარანტია გამოიყენება ნებისმიერი ზარალის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასრული შესრულების გამო;
15.4 შემსყიდველის მიერ მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების პირობების დარღვევის ფაქტის გამოვლენა და ამის
შესახებ გარანტიის გამცემი ბანკის ინფორმირება წარმოადგენს ძირითად საფუძველს გარანტიის გამცემი ბანკის მიერ საბანკო გარანტიით განსაზღვრული თანხის უკან დასაბრუნებლად.
15.5 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შემდეგ შემსყიდველი დაუბრუნებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიას.
15.6 მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი
ორგანიზაცია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნებს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიას.

16. ხელშეკრულების შეწყვეტა
16.1 შემსყიდველს მიმწოდებელისთვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე შეუძლია შეწყვიტოს ან შეაჩეროს წინამდებარე ხელშეკრულება მთლიანად ან ნაწილობრივ, თუ მისთვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. ამ ხელშეკრულების ნებისმიერი ნაწილი, რომელიც არ შეწყდა ან შეჩერდა, ძალაში უნდა დარჩეს;
16.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი
ვალდებულებების შესრულებისაგან;
16.3 ხელშეკრულების შეწყვეტა ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

17. ფორს-მაჟორი
17.1 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული რომელიმე მხარის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, დონორის დაფინანსების მკვეთრი შემცირებით ან შეწყვეტით და სხვა;
17.2 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება, ფორს-მაჟორული გარემოებების
დადგომის გამო, არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს სანქციების გამოყენებას;
17.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

18. სადაო საკითხების გადაწყვეტა

18.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების გზით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა წარმოქმნილი მათ შორის დადებული ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ;

18.2 თუ ასეთი მოლაპარაკების განმავლობაში მხარეები ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, მხარეებს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლიათ იმოქმედონ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

19. აუდიტი

19.1 შემსყიდველი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღონისძიებების შეფასების და შესაბამისი თანხების ხარჯვის კონტროლის მიზნით უფლებამოსილია განახორციელოს მიმწოდებლის და მისი ქვეკონტრაქტორის აუდიტი და/ან ფინანსური შემოწმება, სასამართლო აუდიტი ან შეფასება, ან განახორციელოს სხვა ქმედება, რომელსაც ის საჭიროდ მიიჩნევს პროგრამის მსვლელობის დროს;

19.2 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიერ შერჩეულ აუდიტორულ კომპანიას მიაწოდოს მისი საქმინობისთვის საჭირო ინფორმაცია, დოკუმენტაცია, ხელი შეუწყოს საქმიანობაში და უზრუნველყოს შესაბამისი პირობებით განახორციელოს პროგრამის ფარგლებში შემსყიდველისგან მიღებული დაფინანსების და გაწეული დანახარჯების, შემსყიდველისგან მიღებული მატერიალური ფასეულობების და მარაგების ხარჯვის აუდიტი.

20 სხვა პირობები

20.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 3 (სამი) ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა. ხელშეკრულების ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან;

20.2 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის გახორციელდება წერილობითი ფორმით ქართულ ენაზე.

20.3 მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით;

20.4 ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას;

20.5 მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია;

20.6 ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების და ა. შ. თუ წინასწარ არ მოხდა შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება;

20.7 კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.

ხელშეკრულების დანართების პროექტები:

ხელშეკრულებას თან ახლავს დანართები, რომლებიც ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია;

დანართი N1 ა - შესრულებული სამუშაოების სიტყვიერი ანგარიშის ფორმა;

დანართი N2 ფინანსური ანგარიში, თანხის და საწვავის მოთხოვნა (ფორმა N1 - ყოველთვიური ხარჯების ჩამონათვალი, ფორმა N2 - ფინანსური ანგარიშგების ფორმა, ფორმა N3ა - სახარჯი მასალების აღრიცხვის ფორმა, ფორმა N3ბ - საწვავის ხარჯვის აღრიცხვის ფორმა, ფორმა N4 - ხარჯების ფინანსური აღრიცხვა კატეგორიების მიხედვით);

დანართი N3 - შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი;

დანართი N4-1 - შემსყიდველის მიერ მიმწოდებელზე გადასაცემი ძირითადი და მცირეფასიანი აქტივების ჩამონათვალი;

დანართი N6 - პროექტის ბიუჯეტი;

დანართი N6-1 - პროექტის ბიუჯეტი პერიოდიების, კატეგორიების და ინტერვენციების მიხედვით;

დანართი N7 - ტექნიკური მიდგომა და მეთოდოლოგია;

დანართი N8 - პროექტის განხორციელების დეტალური გეგმა-გრაფიკი;

დანართი N9 - გლობალური ფონდის გრანტების შესახებ მარეგულირებელი ნორმები (2014);

დანართი N10 - ქცევის კოდექსი გლობალური ფონდის სახსრების რეციპიენტებისთვის. იხ. http://www.theglobalfund.org/en/search/?q=ethical+guideline

დანართი №11 - პროექტის განხორციელებაში ჩართული სატრანსპორტო საშუალებების ნუსხა და ინფორმაცია საწვავის საშუალო თვიური ლიმიტების შესახებ.

დანართი №12 -საბიუჯეტო კატეგორიების ნუსხა გლობალური ფონდის გრანტის ბიუჯეტირების სახელმძღვანელოს მიხედვით.

1. **რეკვიზიტები:**

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

მომსახურე ბანკი:

ბანკის კოდი:

ანგარიშის ნომერი:

ხელის მოწერა და ბეჭედი _____

_____

(მიმწოდებლის უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი)